KA015592747685217

საქართველო, თბილისი, 0105; სანაპიროს ქ. № 2
ტელ.: +995 32 2 405 405
info@psh.gov.ge
www.psh.gov.ge

№ 502 **10 / მარტი / 2017 წ.**

სსიპ - სოციალური
მომსახურების სააგენტოს
დირექტორს,
ბატონ ზაზა სოფორმაძეს

ბატონო ზაზა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ - იუსტიციის სახლის (შემდგომში - იუსტიციის სახლი) აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანების საფუძველზე, იუსტიციის სახლის ცნობადობის გაზრდის მიზნით, ხორციელდება პროექტი, „კეთილი იყოს შენი მობრძანება“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), იუსტიციის სახლსა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის 2016 წლის 8 ივნისს დაიდო ხელშეკრულება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე არსებული ზოგიერთი ინფორმაციის სსიპ - იუსტიციის სახლისათვის მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების შესაბამისად, 2016 წლის 14 ივნისიდან ამავე წლის 14 ნოემბრის ჩათვლით, სააგენტო უზრუნველყოფდა იუსტიციის სახლისათვის სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიწოდებას. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში 2016 წლის 2 ნოემბერს შევიდა ცვლილება და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის მოწოდების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 17 ოქტომბრიდან 2017 წლის 17 მარტის ჩათვლით პერიოდი.

გაცნობებთ, რომ „სსიპ - იუსტიციის სახლში პროექტის - „კეთილი იყოს შენი მობრძანება“ განხორციელების შესახებ“ სსიპ- იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 10 მარტის №125/ს ბრძანების საფუძველზე პროექტის განხორციელების ვადა შეიცვალა და განისაზღვრა 2016 წლის 17 ოქტომბრიდან 2017 წლის პირველ ივლისამდე პერიოდი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გაგრძელდეს ჩვენს შორის 2016 წლის 8 ივნისს დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა პროექტის განხორციელებისათვის დადგენილი ვადით - 2017 წლის პირველ ივლისამდე.

დანართი:
სსიპ - იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 10 მარტის №125/ს ბრძანება „სსიპ - იუსტიციის სახლში პროექტის - „კეთილი იყოს შენი მობრძანება“ განხორციელების შესახებ“ სსიპ-იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

პატივისცემით,

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი
დირექტორი

გივი აზაურაშვილი